<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 86) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 13^6 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. მე-14 მუხლის:

ა) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. თუ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია ხარვეზს შეიცავს, ანტიკორუფციული ბიურო შესაბამის პირს ამ დეკლარაციის წარდგენიდან 1-თვიანი პერიოდის განმავლობაში მიუთითებს ამ ხარვეზზე და განუსაზღვრავს 1-თვიან ვადას მისი აღმოფხვრისათვის. აღნიშნული 1-თვიანი პერიოდის ან 1-თვიანი ვადის მიმდინარეობისას ამ დეკლარაციის გასაჯაროება ან მასში ასახული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა დაუშვებელია. ამ პუნქტით დადგენილი პროცედურის განხორციელება არ ათავისუფლებს პირს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზისთვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის, რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატად რეგისტრირებული პირის ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცედურაში კანდიდატად რეგისტრირებული პირის მიერ წარდგენილ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაზე.“;

ბ) მე-13 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-15 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა 10 000 ლარს აღემატება, – ფულადი თანხის მესაკუთრის ვინაობა, ფულადი თანხის წყარო და ფულადი თანხის ოდენობა შესაბამის ვალუტაში;“.

4. 18^1 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არსებული ხარვეზის ამ კანონის მე-14 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ 1-თვიან ვადაში აღმოუფხვრელობა.“.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 19[1] მუხლი:

„მუხლი 19[1]

ამ თავით გათვალისწინებულ შეტყობინებას, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ანტიკორუფციული ბიურო სათანადო პირს აბარებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღნიშნული შეტყობინება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამ პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა ამ შეტყობინების/ამ აქტის აღნიშნულ სისტემაში ასახვის მომენტიდან.“.

6. მე-20 მუხლის:

ა) პირველი–1[2] პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრულ ვადაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა ან თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არსებული ხარვეზის იმავე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ 1-თვიან ვადაში აღმოუფხვრელობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, რის თაობაზედაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ.

1[1]. ამ კანონის 18[1] მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, ხოლო ის პირი, რომელიც გათავისუფლდა თანამდებობიდან, – თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ბოლოს მიღებული თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, რის შესახებაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონის 18[1] მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ეფუძნება მხოლოდ ისეთ დარღვევას (თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მხოლოდ ისეთი ხარვეზის არსებობას), რომლისთვისაც პირი დაჯარიმებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

1[2]. ამ კანონის 18[1] მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირს ეძლევა გაფრთხილება, რის შესახებაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონის 18[1] მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ეფუძნება მხოლოდ ისეთ დარღვევას (თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მხოლოდ ისეთი ხარვეზის არსებობას), რომლისთვისაც პირი დაჯარიმებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.“;

ბ) 1[3] პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ამ მუხლით გათვალისწინებულ შეტყობინებას, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ანტიკორუფციული ბიურო სათანადო პირს აბარებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღნიშნული შეტყობინება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამ პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა ამ შეტყობინების/ამ აქტის აღნიშნულ სისტემაში ასახვის მომენტიდან.“.

7. 20^{3} მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ანტიკორუფციული ბიურო უფლებამოსილია მამხილებელს მიანიჭოს მამხილებლის სტატუსი (მათ შორის, ანონიმური მამხილებლის სტატუსი), გაუწიოს მას სამართლებრივი ან/და ფსიქოლოგიური დახმარება და მხილების ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაცია, დოკუმენტი, მტკიცებულება მხილების ფაქტზე რეაგირებისთვის გაუგზავნოს სათანადო ორგანოს/თანამდებობის პირს. ანტიკორუფციული ბიურო ასევე უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მამხილებლისთვის უფასო იურიდიული კონსულტაციისა და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით მიმართოს აღნიშნულ სამსახურს. ამ პუნქტით გათვალისწინებული ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებების განხორციელების წესი დგინდება ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის ბრძანებით.“.

8. 20^{15} მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^{1} პუნქტი:

„2^{1}. ანტიკორუფციული ბიურო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.“.

9. 20^{17} მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი ხელშეუხებელია. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს. თუ საქართველოს პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“.

10. 20^{19} მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მის მიერ ამ კანონის 20^{18} მუხლის რომელიმე მოთხოვნის დარღვევით ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;“;

ბ) „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში დაადგინოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^3 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებების განხორციელების წესი.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი